პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
25 აგვისტო
№ 196 (18138)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Дიდი პედაგოგიური საბჭო

ცოტაც და ავლავ საზეიმოდ დაირეკება მშობლიური სკოლის ზარი, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი სასწავლო წლის დაწყებას გვაუწყებს. როგორი წარმატებებით ხვდება მას საბჭოური სახალხო განათლების სისტემა, როგორი სიმაღლეებიდან ვაფასებთ განვლილს, რათა უკეთ ვეკრეტდეთ მომავლის გრანდიოზულ ამოცანებს!

ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ უკვე მივაღწიეთ დიდმნიშვნელოვან მიჯნას — დამთავრდა საკალდებულო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. დღეს მთავარი ის არის, რომ ავამაღლოთ სკოლებში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღვკვეთოთ ფორმალიზმი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში, საქმით განვამტკიცოთ ცხოვრებასთან სწავლების კავშირი, გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის სკოლების მოსწავლეთა მომზადება“.

და დღეს, ეს დამსახურებული დიდი შეფასება, ყრილობის მიერ დასახული მიჯნების უთუოდ წარმატებით მიღწევის სურვილი ენერგიით და რწმენით აღავსებს ჩვენს პედაგოგებს, სახალხო განათლების ყოველ მუშაკს. მათთვის ხომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ახალი სასწავლო წლისათვის სერიოზული და მოფიქრებული სამზადისის დღეებია ახლა, როცა, ტრადიციისამებრ, თავიანთ დიდ პედაგოგიურ საბჭოზე იკრიბებიან, რათა ყოველმხრივ გააანალიზონ აქამდე გაკეთებული და დასახონ სამომავლო საქმიანობის კონკრეტული გეზი.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა წლევანდელ კონფერენციებს გამორჩეული შინაარსით აღავსებს წინა კონფერენციიდან ახლანდელამდე მომხდარი ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენები — სკკპ XXVI ყრილობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი დაკვირვარი საიუბილეო ზეიმი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა დღესასწაულში თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ.

სრულიად ბუნებრივია, რომ მასწავლებელთა აგვისტოს წლევანდელი კონფერენციების პლენარულ სხდომებზე ორი უმთავრესი საკითხი განიხილება: პარტიული ორგანიზაციების (ქალაქი, რაიონი) ამოცანები სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად; 1980-1981 სასწავლო წლის შედეგები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელთა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებიდან.

აღსანიშნავია, რომ პირველ საკითხზე კონფერენციებზე მოხსენებებით გამოვლენ საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. ეს გარემოება, რომელშიც ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ვლინდება სახალხო განათლების სისტემაზე შეუნელებელი პარტიული ზრუნვა და უურადღება, პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიცნონ პედაგოგებს სკოლებში პარტიული მუშაობის მისაბაძი ფორმები და მეთოდები. მასწავლებელთა აგვისტოს დიდი პედსაბჭოს მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი სადღეისო ვალია.

ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ არის ბევრი მწვავე და გადაუდებელი საზრუნავი, რაც პარტიული პრინციპულობით აღინიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი: „ჩვენ ვერ შევძელით სკოლის ცხოვრებიდან აღმოგვეფხვრა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას არაობიექტურობის გამოვლინებანი, მოსწავლეთა განთესვა, პედაგოგიური ეთიკისა და საბჭოთა სკოლის მორალური კანონების დარღვევები ზოგიერთი პედაგოგის მიერ, არალეგალური კერძო რეპეტიტორობის ფართოდ გავრცელება, რომელიც ჩვენში სერიოზული ზნეობრივ-სოციალური პრობლემა გახდა, და ზოგიერთი სხვა არასასურველი მოვლენა“.

საჭიროა, პარტიულ მოთხოვნათა შესაბამისად გავაანალიზოთ ყოველმხრივ სკოლის ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობა. მხოლოდ ამგვარი მომთხოვნელობა და პირუთვნელობა დაეხმარება განათლების მუშაკებს სწორად შეაფასონ და თავიდან აიცილონ ისეთი ყოველად მიუღებელი, დასაგმობი ფაქტები, როგორიც ამას წინათ გამომძღვნდა ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობაში.

საგნურაროდ, აქ უხეშად დაარღვიეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების ინსტრუქცია. საბჭოთა პედაგოგის სახელისა და ღირსების შემლახველი ეს ფაქტები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა.

დიახ, დიდია და მრავალმხრივი სკოლის საზრუნავი, არაერთი კრიტერიუმით ფასდება მისი ღვაწლი და ამაგი, მაგრამ სკოლაში გაწეული მუშაობის ავ-კარგი ყველაზე თვალსაჩინოდ მაინც მოსწავლეთა ხაქციელით გამოიხატება. უნდა ითქვას, რომ ჯერაც ბევრია გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ყოველ სასწავლებელში ერთთან, გაბნეულ ბავშვ პროცესად ვაქციოთ სწავლა და აღზრდა. იქ, სადაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, ეს დიდი საქმე ორად ითვლება, შედეგი ყოველთვის გულსატკენი და სავალალოა.

უთუოდ სწორია აზრი, რომ ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე არ არსებობს — ასეთ სიძნელეში, მის აღზრდაში მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური არსენალის სიღარიბე, პედაგოგიური კოლექტივის გაუმართლებელი უმწეობა თუ იჩენს თავს და შეუძლებელია ამგვარი ვითარება აგვისტოს კონფერენციების მონაწილეთა უურადღების მიღმა დარჩეს.

ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით დღენიადაგ ზრუნავენ, რათა წლითიწლობით სულ უფრო უმჯობესდებოდეს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პირობები. ამ ზრუნვის კონკრეტული გამოხატულებაა ისიც, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია მოსამზადებელი და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადაყვანა. ცდის წლით ახალი სასწავლო წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში ახეთ სასწავლო კვირას შემოიღებენ თბილისის ლენინის რაიონისა და თელავის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ და დაწყებით კლასებში. გაუმჯობესებული პროგრამებით შეიხვწავლიან უფროსი კლასების მოსწავლეები ისტორიას, მათემატიკასა და ფიზიკას.

სასწავლო-საალმზრდელო პროცესში უმთავრესი ფიგურა მასწავლებელია. იგი მოვალეა ღრმად ჩაწვდეს და გაიაზროს ყოველი სიახლე, იყოს ყოველივე მოწინავისა და ნოვატორულის დანერგვისათვის აქტიური მებრძოლი. საჭიროა, რომ აგვისტოს კონფერენციებზე თვალთახედვის არეში გვქონდეს პედაგოგის კვალიფიკაციის, იდეურ-პოლიტიკური დონის, ყოველმხრივი კომპეტენტურობის საკითხები.

სკოლა, დიდი ცხოვრებისათვის, დამოუკიდებელი შრომითი გზისთვის ამზადებს თავის აღსაზრდელს. ამიტომაც ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება როგორც ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. აგვისტოს კონფერენციებზე შრომის მოწინავეთა, წარმოების მუშაკთა მონაწილეობა შესაძლებელს ხდის უფრო გამრავალფეროვნდეს და გაღრმავდეს მუშაობა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალ საქმიანობის განმტკიცებით მოზარდი არა მარტო პროფესიას ეცნობოდეს და სწავლობდეს, არამედ მდიდრდებოდეს სულიერად, იძენდეს მისაბაძ მოქალაქეობრივ თვისებებს.

პედაგოგთა აგვისტოს დიდი საბჭო დაიწყო. ვუსურვოთ ჩვენს მასწავლებლებს, რომ დამდეგი სასწავლო წლის წინ ეს შეხვედრები შემოქმედებითი ენერგიითა და აზრით აღავსებდეს მათ, რათა მოსწავლე თაობას მუდამ ერგოულად და დაუღალავად უძღვებოდნენ წინ ცოდნის შეძენის უსასრულო და წარმტაც სამყაროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ანგარიშგება-არჩევნები: პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის დათვალიერება და შემოწმება

1981 წლის ოქტომბერ-ნოემბერი რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის დროა. ამასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წინ ჩქეფს სისხლსავსე, მიზანდასახული ცხოვრება, იგრძნობა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რაც გამოწვეულია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულობით, ამ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მონაწილეობით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევები და მითითებები, რომლებიც მან ზეიმზე გამოსვლისას მოგვცა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი კომუნისტების, მშრომელებისათვის გადდა მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელო, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მთელი შემდგომი საქმიანობის კონკრეტული პროგრამა.

მომავალმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ პირველადს პარტორგანიზაციებში, ნათქვამია დადგენილებაში, ყველგან უნდა შეუწყოს ხელი დამკვრელური შრომის ატმოსფერის, კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის ვითარების დამკვიდრებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც პარტიის წესდების შესაბამისად, რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობა 1981 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დანიშნა, ხაზს უსვამს, რომ პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების დამდეგს დამთავრებული უნდა იყოს კრებები საამქრო პარტორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებში.

დადგენილება საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს ავალებს გასწორონ მთელი საჭირო მოსამზადებელი მუშაობა, ამთავითვე იზრუნონ იმისათვის, რომ თითოეული საანგარიშო-საარჩევნო კრება იყოს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების მტკიცე, გაუხრელი დაცვის მაგალითი, მიმდინარეობდეს ორგანიზებულად, მუშაობის ობიექტური და პრინციპული განხილვის, საქმიანი და კონკრეტული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერში. საანგარიშო მოხსენებებსა და კომუნისტთა გამოსვლებში ღრმად და ყოველმხრივ უნდა იყოს გაანალიზებული მუშაობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში გამართულ ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების შესასრულებლად. საჭიროა აგრეთვე გულდასმით და ყოველმხრივ გავაანალიზოთ და განვაზოგადოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, უზრუნველყოთ ოპერატიული რეაგირება მათზე, საკადრისი პასუხი გავცეთ კრიტიკის ჩახშობის თუნდაც უმცირეს გამოვლინებას, რეგულარულად გავაცნოთ კომუნისტებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა, დასახული წინადადებები.

დადგენილების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა განსაკუთრებით სერიოზულად მივუდგეთ პირველადი პარტორგანიზაციების არჩევითი ორგანოების ფორმირებას. მათი თვისებრივი შემადგენლობა სრულად უნდა ასახავდეს შრომითი კოლექტივების თავისებურებას. პირველადი პარტორგანიზაციების არჩევითს ორგანოებში უნდა დავასახელოთ კომუნისტები — მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც ენდობიან და პატივს სცემენ კოლექტივებში, ფართოდ ვიმსჯელოთ დასახელებული კანდიდატურების შესახებ.

კომუნისტთა საანგარიშო მოხსენებებსა და გამოსვლებში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკის დღევანდელი საქმეებისა და საზრუნავის მთელ სპექტრს. ეს არის მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით შესრულება თუ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და მუშაობის ეფექტიანობის, შინაგანი რეზერვების სრული გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები. ეს არის სამმართველო აპარატის ეკონომიკური სამსახურების აწყობილი მუშაობა თუ მოსახლეობის მომსახურების ძირეული გაუმჯობესება და სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხები, დაკისრებული საქმისათვის მაღალი პერსონალური პასუხისმგებლობის, ნაკლოვანებების, სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების შეუწყნარებლობის ვითარების შექმნა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა დაძლევა, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლების ფართო გამოყენება, ყოველივე ეს უნდა აისახოს აგრეთვე კრებების მუშაობაში. უაღრესად დიდი მზრუნველობა და გულისყური გვმართებს იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, კომუნისტთა პოლიტიკური წრთობის მიმართ. კრებების განსაკუთრებული ყურადღების საგანია პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მათი ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად მოისმენს ინფორმაციას ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, განიხილავს მათს შედეგებს ბიუროს სხდომებზე. (საქინფორმი)

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

რესპუბლიკის მეცხოველეობა წლეულს დარგის განვითარების გზაზე კიოევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა 1980-1981 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს ჩვენი რესპუბლიკის 7 რაიონი და 12 საზოგადოებრივი მეურნეობა.

საქართველოს საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებებისა და რჩევა-დარიგებების შესასრულებლად ჩვენი ფერმის მუშაკთა მიერ გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობის შედეგია ის, რომ შარშანდელთან შედარებით დამზადდა 2319 ტონით მეტი ხორცი, 2494 ტონით მეტი რძე, 1338 ათასი ცალით მეტი კვერცხი და 3707 ტონით მეტი მატყლი.

შვიდ თვე-ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში თავიანთი მეცადინეობა კიდევ უფრო გაამრავლეს აბაშის, ზესტაფონის, ჩხოროწყუს, გარდაბნის, სამტრედიის და სხვა რაიონების მშრომელებმა. მათ შარშანდელზე მეტი მიჰყიდეს სახელმწიფოს ხორცი, რძე და კვერცხი, გადაჭრეს შეასრულეს ამ პროდუქტების წარმოების განვლილი ნახევარწლიური გეგმებიც.

წლეულს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბაგური და საძოვრული სუქების ინტენსიურ მეთოდებს უნარიანად იყენებენ სამტრედიის, ზესტაფონის და ჩხოროწყუს რაიონებში. ამის წყალობით აქ რეგულარულად აბარებენ 300 კილოგრამამდე (რესპუბლიკურ შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მეტია) წონის პირუტყვს.

ფერმის მუშაკთა წარმატებებზე კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა, მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ თათბირზე ითქვა, მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა დარგის განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII და 1980 წლის XX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სწორედ ამის გამოა, რომ შვიდ თვე-ნახევარში მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები ხორცი და რძე დამზადდეს ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთის, თიანეთის რაიონებმა. ახალქალაქის რაიონში სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა ჩაშალა 20 მეურნეობამ.

სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით, მარშანდელზე მნიშვნელოვნად ნაკლები კვერცხი ჩააბარეს სახელმწიფოს კასპის, წითელწყაროს, ონის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ხობის და ლანჩხუთის რაიონებმა.

ზოოვეტსპეციალისტთა უნიათო მუშაობისა და ცუდი კვების გამო შარშანდელთან შედარებით პირუტყვის გაწყდომა გაბშირდა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, თიანეთის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში.

სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის მოწინავე მეთოდებს ჯეროვნად არ იყენებენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, დუშეთის, ზნაურის, თელავის, ახმეტის რაიონებში, ჭიათურისა და ტყიბულის ზონებში.

ამიტომ ისინი სახელმწიფოს სისტემატურად გამხდარ, ნორმით დაწესებულზე ნაკლები წონის პირუტყვს აბარებენ. მაგალითად, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა რესპუბლიკურ შესაბამის მაჩვენებელს 98 კილოგრამით ჩამორჩება დუშეთის, 101-ით — ზნაურის და 58 კილოგრამით — ამბროლაურის რაიონებში.

რესპუბლიკის მეცხოველეთა ვალია გამოიჩინონ მაქსიმალური მონდომება და შემართება, „გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და რეზერვი იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ დასახული გეგმები.

რეზერვებს სრულად ვერ იყენებენ

რომების განვლილი ნახევარწლიური გეგმებიც.

წლეულს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბაგური და საძოვრული სუქების ინტენსიურ მეთოდებს უნარიანად იყენებენ სამტრედიის, ზესტაფონის და ჩხოროწყუს რაიონებში. ამის წყალობით აქ რეგულარულად აბარებენ 300 კილოგრამამდე (რესპუბლიკურ შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მეტია) წონის პირუტყვს.

ფერმის მუშაკთა წარმატებებზე კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა, მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ თათბირზე ითქვა, მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა დარგის განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII და 1980 წლის XX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სწორედ ამის გამოა, რომ შვიდ თვე-ნახევარში მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები ხორცი და რძე დამზადდეს ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, თიანეთის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში.

სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის მოწინავე მეთოდებს ჯეროვნად არ იყენებენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, დუშეთის, ზნაურის, თელავის, ახმეტის რაიონებში, ჭიათურისა და ტყიბულის ზონებში.

ამიტომ ისინი სახელმწიფოს სისტემატურად გამხდარ, ნორმით დაწესებულზე ნაკლები წონის პირუტყვს აბარებენ. მაგალითად, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა რესპუბლიკურ შესაბამის მაჩვენებელს 98 კილოგრამით ჩამორჩება დუშეთის, 101-ით — ზნაურის და 58 კილოგრამით — ამბროლაურის რაიონებში.

რესპუბლიკის მეცხოველეთა ვალია გამოიჩინონ მაქსიმალური მონდომება და შემართება, „გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და რეზერვი იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ დასახული გეგმები.

საკვები — საერთო საზრუნავი

უკვე ოთხი თვეა ყოველდღიურად ოჩამჩირის მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები მეცხოველეობის ფერმებში გზავნიან 50-60 ცენტნერ მწვანე საკვებს პირუტყვისათვის.

საკვებმომპოვებლებმა წარმატებით გაართვეს თავი სენაჟის ჩადების წლიურ გეგმას და თავის დამზადებას შეუდგნენ.

კარგი საკვები ბაზა საბჭოთა მეურნეობას საშუალებას აძლევს ყოველწლიურად გაზარდოს წველადობა. დღეისათვის საფურაეე ძროხაზე ნაწველი აქ უკვე თითქმის 1.400 კილოგრამს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

სურათებზე: საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი, კომუნისტი გრიგოლ ლეთოდიანი გამოირჩევა ამ დღეებში ბალახის თიბვაში; მიმდინარეობს სიმინდისა და მრავალწლოვანი ბალახების აღება მწვანე საკვების დასამზადებლად.

ი. ჯოხონელიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოკორონიკა).

მზრუნველობა და ყურადღება არ მოვაკლოთ ადგილობრივ კურორტებს

რესპუბლიკის თითქმის ყოველ რაიონშია ადგილები, რომლებიც ძველთაგანვე ცნობილი თავიანთი სამკურნალო პირობებით, ადგილობრივ კურორტებს სახელი აქვს განთქმული თავიანთი რაიონების ფარგლებს გარეთ, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობები მათი სრულად გამოყენების საშუალებას არ იძლევა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ასე სვამს საკითხს: საქართველოს სსრ ყველა უნიკალური საკურორტო ფაქტორი და შესაძლებლობა უნდა ჩადგეს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. ადგილობრივი კურორტები მუშების, სოფლის მშრომელების, ინტელიგენციის დასვენების ორგანიზაციისა და მკურნალობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური აღმშენებლობის ახალი პროგრამის შესრულება მოითხოვს მთელი საბჭოთა ხალხის ენერგიულ, დაუღალავ და მიზანდასახულ მუშაობას. იმას კი, ვინც კარგად შრომობს, სრულფასოვანი დასვენების ყველა პირობა უნდა ჰქონდეს.

ადგილობრივი კურორტების მაქსიმალურ გამოყენებას პარტია უმნიშვნელოვანეს სოციალურ ამოცანად მიიჩნევს. აი რატომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა საკურორტო მშენებლობის შემდგომ განვითარებას, ახლის მშენებლობასა და არსებული სასტუმროების, პანსიონატებისა და დასასვენებელი სახლების რეკონსტრუქციას, სავაჭრო და კულტურული მომსახურების დონის შემდგომ ამაღლებას.

ამ საკითხს მიეძღვნა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომში გამართული თათბირი, რომელსაც უძღვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ეფექტიანი ზრუნვა ადგილობრივ კურორტებზე, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის, მისი ეკონომიკის, მისი პრეტიეისათვის, და გამოყო ორი საკვანძო საკითხი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში: პირველი — საკურორტო მშენებლობაში არსებული უწყებრივი ბარიერების აღმოფხვრის აუცილებლობა და მეორე — ადგილობრივი კურორტების პერსპექტიული გეგმის შემუშავება და შემდგომი განვითარება. ამ საკითხების გადასაწყვეტად უნდა შეიქმნას მთავრობის კომისია, რომელიც დეტალურად შეიმუშავებს გეგმას უახლოესი 10-15 წლისათვის და განსახილველად წარუდგენს წინადადებებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამ საქმეს უნდა უძღვებოდეს ყველა რესპუბლიკურ უწყება-სამინისტროსთან, სამრეწველო გაერთიანებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან მჭიდრო კონტაქტით. ასეთია ადგილობრივი კურორტების აღმავლობის პროცესის არა მარტო წარმატებული დაწყების, არამედ აგრეთვე მოკლე ვადაში დამთავრების წანამძღვარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თბილისში გამართულ საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას თქვა: „ყველა საბჭოთა ადამიანი იცნობს საქართველოს როგორც ჩვენს საკავშირო ჯანმრთელობის კერასაც. ისინი თქვენი მადლიერნი არიან გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის, იმისათვის, რომ მილიონობით მშრომელის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად იღვწით“.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის მაღალი შეფასება ბევრს გვავალებს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნიადაგ უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კურორტების ძირითადი სასურსათო პროდუქტებით მომარაგება, კომუნალური მომსახურების მაღალი დონე, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალური ორგანო, — შესაძლოა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, რომელიც გაუძღვება ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობის საკითხებს.

თათბირზე მოისმინეს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ადგილობრივი კურორტების, სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების მშენებლობის მიმდინარეობის, მათი კეთილმოწყობის, მრავალრიცხოვანი სამკურნალო და თერმული წყლების მაქსიმალური გამოყენების, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების შესახებ.

თათბირზე გამოსულმა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმაზე, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი კურორტების განვითარებას, კერძოდ, მათი განზორციელების შედეგად აღიკვეთება საირმის სამკურნალო წყლის გაჭუჭყიანება, განზორციელდება აქაური ჩამომსმელი ქარხნის რეკონსტრუქცია და გაიზრდება მისი სიმძლავრეები, გაუმჯობესდება მისასვლელი გზები, ვადაზე დამთავრდება მშენებლობა და სხვ. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ახლო მომავალში კურორტი საირმე მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდეს დამსვენებლებსა და ავადმყოფებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

რესპუბლიკის ჩაის პლანგაცემებში

ჩაის ნედლეულის დამზადება 24 აგვისტოსათვის

(ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	მიერ ე ფ ი ლ ი ყო 1980 წლის სეზონის დამდეგიდან	1981 წ ლ ი ს სეზონის დამდეგიდან მიღებული	+ —
ხელვაჩაურის	16112	17604	+ 1492
ქობულეთის	35959	36767	+ 808
ქედის	771	1169	+ 398
სულ აჭარაში	52852	55540	+ 2658
გალის	36882	36910	+ 28
ოზურგეთის	26483	28240	+ 1757
სოხუმის	605	621	+ 16
გულრიფშის	2140	2365	+ 225
გუდაუთის	4748	6066	+ 1318
სულ აფხაზეთში	70858	74202	+ 3344
მახარაძის	72785	75567	+ 2782
ჩოხატაურის	10188	11178	+ 990
ლანჩხუთის	19281	20666	+ 1385
სამტრედიის	2495	2576	+ 81
წულუკიძის	7629	8375	+ 746
წალენ

პარტიული ცხოვრება:
გაღმეფყვეტილება საქმეს უნდა დაემშვენოს

სტატიაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ სრულდება პრაქტიკულად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 თებერვლის დადგენილება „აჭარის ახს რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ავტორის მიერ ქედის რაიონის მაგალითით მოცემული საქმიანობის ანალიზი საგულისხმოა ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებისათვის, რომლებსაც დადგენილების შესაბამისად ეს მუშაობა დაეკისრათ.

მთიანი აჭარა... ეს არის მხარე, სადაც ცხოვრობს, იბრძვის და შრომობს ვაჟკაცი, გამრჯე, პატიოსანი, ამაყი და სტუმართმოყვარე ხალხი, გულღია და კაკაბმოყვარე ხალხი...

მოასფალტებული გზა ბობოჭარ მდინარეს მიჰყვება, ამწვანებული მთის კალთაზე მიიკლაკნება...

ქედა. ეს არის სუფთა, ლამაზი, ქვით ნაგები დაბა, რომელიც მთის ფერდობებს შეფენია. პარტიის რაიკომში მისი მდივანი დარეჯან თურმანიძე დაგვხვდა — მომხიბლავი ქალი, რომელსაც დიდი ცხოვრების გზა გამოუვლია. დამთავრებული აქვს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა, უკანასკნელი ათი წელი კი პარტიის რაიკომის მდივანია.

რაიკომის მდივანი. როგორი უნდა იყოს იგი? ჯერ ერთი, კომპეტენტური. და საქმიანი, მეორე— გულისხმიერი, მესამე — მომთხოვნი და პრინციპული.

დ. თურმანიძეს ყველა ეს თვისება ორგანულად აქვს შესისხლხორცებული. ეს სინაზესთან, თავმდაბლობასთან, კეთილშობილებასთან ერთად იმ ატმოსფეროს გიქმნის, რომელშიც თავისუფლად გრძნობ თავს.

იგი მაშინვე მიგვიხვდა, რა გვინდოდა. ოპერატიულად ამოქმედდნენ ადამიანები, რომლებიც გვიმზადებენ მასალებს, ცნობებს, ეკონომიკურ მონაცემებს. თანაც ყველაფერი ეს საქმის ცოდნით, სწრაფად, ყოველგვარი აურზაურისა და მოჩვენებითობის გარეშე



24 აგვისტო

მთიანი რაიონის პრობლემები

კეთდებოდა. ერთი სიტყვით, ეს ჩვეულებრივი მუშაობა იყო, და იმაში, როგორ იძლეოდა განკარგულებებს, როგორ ურეკავდა ადგილებზე, ზოგს კი იძახებდა კიდეც, იგრძნობოდა არა მარტო სიმტკიცე, არამედ მიზანსწრაფვაც — მე ვიტყოდი, შერჩევითი მოქმედება. ამან არ შეიძლება არ გაგახაროს.

— სამწუხაროდ, პირველი მდივანი არ გახლავთ. სადაცაა მობრძანდება.

„მეორემ“ — ვლადიმერ ბოლქვაძემ — ცოტა დაიგვიანა. პლანტაციებში ყოფილა მეჩაიეებთან. და როცა მოვიდა, საქმე არსებითად უკვე გაკეთებული იყო. ჩვენ არა მარტო მეორე საჭირო მასალები გვქონდა, არამედ ამომწურავი ინფორმაციაც მივიღეთ რაიონში საქმის მდგომარეობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება აჭარის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება ქედის რაიონში.

ქედის რაიონი ყველაზე მცირემოწიანია რეგიონში, შეიძლება ითქვას, მთელ რესპუბლიკაშიც. თვითონ განსაჯეთ. მთელი მიწის საკარგულებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს მცირე პროცენტი უკავია. დანარჩენი? იკითხავს გაოცებული მკითხველი. დანარჩენი მთებია, ტყით დაფარული მთები. ტყეები ბევრია, მაგრამ მხოლოდ შერჩევითი და სანიტარიული კაფვა ეწყობა, რადგან ჯანურჩევლად რომ გაჩეხონ, სადაც არის თუ არა საჭირო, კარგი არაფერი გამოვა.

სწორედ ქედაში ფუნქციონირებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტის საყრდენი პუნქტი, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ბერიძე მეთაურობს.

დ. თურმანიძემ გაგვაცნო იგი. პროფესორებს, რომლებსაც აქ წყვეტენ, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ბერიძე ინიციატივიანი, შემოქმედებითი, საზრიანი კაცია. აქაური გახლავთ და კარგად ესმის მთის მხარის პრობლემები.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ აქ შევხვდი მიხეილ დარასელიას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს.

ხუთწლედის დავალებანი, ქედის რაიონის კომუნისტებმა, აჭაურმა მშრომელებმა მეთერთმეტე ხუთწლედი კარგად დაიწყეს. საკმარისია ითქვას, რომ წლის პირველ ნახევარში საგეგმო დავალებათა თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი გადაჭარბებით შესრულდა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ამან არ შეიძლება არ გაგახაროს.

ბევრი რამ გაკეთდა იმ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელებისთვისაც, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 თებერვლის დადგენილება ითვალისწინებს.

თუმცა, მთელი რიგი პოზიციების თვალსაზრისით დადგენილება ჯეროვნად ვერ სრულდება. ეს იმდენად ქედელი ამხანაგების მუშაობის ნაკლოვანებათა შედეგი არ არის, რამდენადაც იმისა, რომ ზოგიერთი რესპუბლიკური ორგანიზაცია, სამინისტრო და უწყება მთელი გულით არ ეკიდება საქმეს.

მაგრამ, მოდით, ჯერ იმაზე ვილაპარაკოთ, რაც გაკეთდა.

ქედაში აიგო 3 მეცხოველეობის ფერმა 908 სული საქონლისათვის და ერთი სასუქებელი მოედანი— 700 სულისათვის. გაკეთდა 300 ტონა ტევადობის სასენაჟე ტრანშეა. კაპიტალურად შეკეთდა ერთი ქვესადგური და ცხმორისის სარწყავი არხი. სოფელ დანდალოში ამუშავდა 50-ადგილიანი საბავშვო ბაღი, სოფლებში კვაშტასა და მახუნცეთში — 2 მაღაზია, სოფელ ზვარეში აშენდა სასადილო. დამთავრდა სოფლების დანდალოს და მახუნცეთის თაღოვანი ხიდების აღდგენის სამუშაოები. რაიონული ავტომატური სატელეფონო სადგური ბათუმთან ავტომატურ კავშირზე გადაიყვანეს.

როგორც ხედავთ, ცოტა რამ არ გაკეთებულა.

რა არ გაკეთდა?

სამწუხაროდ, — აგრეთვე ბევრი რამ. **ქედის რაიონის ხელმძღვანელებს და მთის სოფლების მშრომელებს ხერეოზული პრეტენზიები აქვთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, საქმთავარნერგოს და ზოგიერთი სხვა უწყების მიმართ...**

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საავტომობილო გზების სამინისტროს ხელმძღვანელობა რაღაც ინერციული წარმოდგენებისტყვეობაშია გადასაყვანი გზების რიგითობის შერჩევის კრიტერიუმების შემუშავებისას. როგორც ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ, როცა საგზაო მშენებლობის სამუშაოთა ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტ, მარტოოდენ ეკონომიკური მოსაზრებებით კი არ უნდა ხელმძღვანელობდე, არამედ სოციალურ ფაქტორებსაც ითვალისწინებდე. მხოლოდ კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა დაეხმარება ამ უწყების მუშაკებს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას გაითვალისწინონ არა ერთი, არამედ რამდენიმე მომენტი.

ბევრმა ამხანაგმა, რომლებიც ქედის რაიონში შეგვხვდნენ, გვთხოვა ხმა მიგვეწვდინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის, რომ უფრო მეტად დაეხმაროს ამ მთიან რაიონს სასკოლო მშენებლობის საკმეში. ასეთივე თხოვნა გამოითქვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მიმართ.

ურიგო არ იქნება, თუ რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად სხვადასხვა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოს ორგანიზაცია დაევალა, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხავენ ამ სახელმძღვანელო დოკუმენტს. და არა მარტო წაიკითხავენ, არამედ შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანენ, და არა მარტო დასკვნებს გამოიტანენ, არამედ პრაქტიკულად წარმართავენ საქმეს ისე, რომ დავალებული საქმე პირნათლად, დიდმნიშვნელოვანი სადირექტივო დოკუმენტით დადგენილ ვადებში შეასრულონ. **რადგან გადაწყვეტილების ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთ.**

ამას სავსებით იმსახურებენ ქედის რაიონის მშრომელები — მეჩაიეები, მეთამბაქოეები, მეცხოველეები, იმსახურებენ იმას, რომ ამ მაღალ მთებში, საზღვარზე, სადაც არა მარტო თავდადებით შრომობენ, არამედ მესაზღვრეებთან ერთად საბრძოლო საგუშაგოზეც დგანან, ამ გულუხვ და გულგაშლილ ადამიანებს ეხმარებოდნენ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან.

ლ. ეგოროვი,
გაზეთ „კომუნისტის“ კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განსაკუთრებულად მრავალი წლის წარმატებული მუშაობისათვის და ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაულთან დაკავშირებით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელით.

ბრძანებულება გამოქვეყნდა გაზეთ „ლელოში“.

რესპუბლიკის პროფესიონალტექნიკური განათლების სისტემაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სისტემის საუკეთესო მუშაკებს მიანიჭა სიატიო წოდებანი: „საქართველოს სსრ პროფესიონალტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოქვეყნდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“. (საქინფორმი).

● გდრ

ელექტრონიკის ბაზაზე

ბერლინი. ქალაქ გერლიცის (დრეზდენის ოლქი) კონდენსატორების ქვეყანაში, სადაც გენერალური რეკონსტრუქცია დაიწყო, თითქმის ერთიორად გაიზრდება პროდუქციის მოცულობა, თუმცა უცვლელი დარჩა აქ დასაქმებულ მშრომელთა რიცხვი.

ქარხნის საამქროებში ელექტრონიკის ბაზაზე იდგმება მაღალმწარმოებლური მოწყობილობა, რაც შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკულად მთლიანად აღმოიფხვრას ხელით შრომა. ბევრ ოპერაციას შეასრულებენ სამრეწველო მანიპულატორები. ავტომატიკის დანერგვა შესაძლებლობას იძლევა გაუმჯობესდეს კონდენსატორების ხარისხი, რომლებიც საჭიროა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სამრეწველო მოწყობილობისათვის.

● ბულგარეთი

სსრ კავშირის შეკვეთებით

სოფია. საწარმოებში არამწარმოებლური ხელის შრომის ლიკვიდაციის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტების საცავი ახალი ავტომატიზებული საწყობი. იგი შექმნეს ბულგარეთ-უნგრეთის გაერთიანება „ინტრანსმაშის“ სპეციალისტებმა. თავიანთ მუშაობაში მათ გამოიყენეს უკანასკნელი მიღწევები ავტომატიზაციისა და ელექტრონიკის დარგში.

„ინტრანსმაშის“ ძირითადი შემკვეთია საბჭოთა კავშირი. გაერთიანებაში შექმნილ დაახლოებით 20 ავტომატიზებულ საწყობს წარმატებით იყენებენ ქიმის საავტომობილო ქარხანაში. დაიწყო „ინტრანსმაშის“ მარკიანი მოწყობილობის გაგზავნა ვოლგის საავტომობილო ქარხანაში, კიევის, მინსკის, უფის, თბილისის საწარმოებში. ამ ქალაქების ფაბრიკებსა და ქარხნებში იყენებენ სხვადასხვა სიმძლავრის ბულგარულ ავტოამწეებს, გორგოლაჭიან კონტეინერებს, მოწყობილობას, რომელიც განსაზღვრავს ტვირთის წონასა და გაბარიტს.

● ვიეტნამი

დამკვრელური ვაჯტი

ჰანოი. ვიეტნამის კომუნისტური პარტიის V ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვაჯტზე დადგა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური თანამშრომლობის პირმშოს — ჰანოის I ჩარხსაინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი. მანქანათმშენებლობის ამ ფლაგმანის მშრომელები არიან ინიციატორები დარგის მუშათა სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო დაიწყო. კოლექტივების სოციალისტურ ვალდებულებათა შორის არის შრომის ნაყოფიერების გადიდება, ახალ სახეობათა ჩარხებისა და მოწყობილობის გამოშვება, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობა.

ფოტოინფორმაცია



ნ ლითიფლობით იზრდება რუსული ენის შემსწავლელთა რიცხვი. ამას წინათ მოსკოვში გამართულ რუსული ენის მე-4 საერთაშორისო ოლიმპიადაზე ვიეტნამის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. მათ 8 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი დიმსახურეს.

სურათზე: ოლიმპიადის პრიზიორები.

ვია-საკლესიის ფოტო.

გადაჭრით გმობენ

ვაშინგტონი. ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის უფროსმა თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა გადაჭრით დაგმო რ. რეგანის ადმინისტრაციის საგარეოპოლიტიკური კურსი.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იგი აღნიშნავს, რომ ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის მხედრიონის პროვოკაციული მოქმედება „საეჭვოს ხდის ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის სისწორეს“. ადმინისტრაციის ასეთი კურსი „მეტად საშიშია“, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის სამხედრო ძალიერების დემონსტრაცია მოეწყო მაშინვე, როგორც კი ისრაელის ამერიკული წარმოების თვითმფრინავებმა დაბომბეს ბირთვული რეაქტორი ერაყში“. გვექმნება შემაშფოთებელი შთაბეჭდილება, რომ ერაზიას განიცდის საერთაშორისო ურთიერთობის ტრადიციული ნორმები“, — წერს ფულბრაიტი.

იგი აღნიშნავს, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პროვოკაცია მოეწყო მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შემუშავებული ჰქონია საიდუმლო გეგმები თავიდან მოეცილებინა ლიბიის რევოლუციის ლიდერი მ. კადაფი და სამხედრო გადატრიალება მოეხდინა ამ ქვეყანაში.. ფულბრაიტის აზრით, ამასწინანდელი შეიარაღებული აქცია მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „შეუდგა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაგეგმილი სცენარის რეალიზაციას“.

უ. ფულბრაიტი აღნიშნავს, რომ ამერიკის მხედრიონის მოქმედებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მსოფლიოს მთელ რიგ სახელმწიფოებში,

ავტორი მკაცრად აკრიტიკებს თეთრი სახლის მოქმედებას, და აღნიშნავს: ოფიციალური ვაშინგტონის ახლანდელი კურსი მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაუხვია 70-იან წლების დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. „მზადყოფნამ, რომლითაც ვაშინგტონმა გამოიყენა სამხედრო ძალა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ადმინისტრაციას არ სურს და ლამის უარსაც ამბობს აწყარმოოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხებზე, აგრეთვე იმან, რომ თეთრ სახლს არ გამოუთქვამს რაიმე სერიოზული პროტესტი ამერიკული თვითმფრინავების გამოყენებით ისრაელისა და ერაყის დაბომბვის წინააღმდეგ, შეიძლება სხვა ქვეყნებს, მათ შორის ჩვენს მეგობრებს აფიქრებინოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სწადია არა მოლაპარაკება, არამედ კონფრონტაცია“. გარდა ამისა, ფულბრაიტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „შეიძლება დაკარგოს წამყვანი როლი დასავლეთის სამყაროში, თუ ჩვენი მოკავშირენი და სხვა სახელმწიფონი დაინახავენ, რომ იარაღის ტრიალზე ვართ გადასული და სამხედრო ძალის გამოყენებით ვაპირებთ კომუნისტურ სამყაროსთან ჩვენი უთანხმოების მოგვარებას“.

ფესტივალი საარბრიუკენში

საარბრიუკენი. ამ ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს მოედანს „თბილისის“ მოედანი ჰქვია. საარის მხარის მთავარი ქალაქისა და საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მეგობრო მეგობრული ურთიერთობის სიმბოლოა. დადასტურდა დიდი კონკრეტით, რომლითაც დაიწყო აქ საარბრიუკენის, თბილისისა და საფრანგეთის ქალაქ სანტის წარმომადგენელთა ტრადიციული შეხვედრა.

ძველი და თანამედროვე ქართული მელოდიები ფოლკლორული ჯგუფის „ფაზისის“ შესრულებით. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მსახიობთა ცეკლოვანი ცეკვები, კინოფილმები და მხატვრული გამოფენები, ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკში, რომლებიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ჩაატარა, — ასეთია საბჭოთა დელეგაციის წვლილი სამი დამბომბილებული ქალაქის საერთო დღესასწაულში.

„სიმბოლოლური მშვიდობის ჩიბუხი“, რომელიც ჩვენი დღესასწაულის გახსნაზე მოსწიეს საარბრიუკენის ობერბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტენმა, ნანტის მერმა ანდრე შენარმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ნ. ნეფედოვმა, თვალნათლივ მოწმობს სამი ქალაქის მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებას, — წერს გაზეთი „საარბრიუკენ ცაიტუნგი“. „თბილისის მოედანი საარბრიუკენში, თბილისის ზიდი ნანტში, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ქალაქების მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავად ამას წინათ თბილისში აგებული მონუმენტი, — ყოველივე ეს ჩვენი გულწრფელი და საერთო სურვილის გამოვლენაა — განმტკიცდეს მშვიდობა.

● სირია

ბაზრობა გაიხსნა

დამასკო. სირიის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა 28-ე დამასკოს საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს 27 ქვეყანა, ბევრი ადგილობრივი და საზღვარგარეთის ფირმა.

ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა ეკსპოზიციაში ფართოდ არის წარმოდგენილი ექსპონატები, რომლებიც მნახველთა აცნობენ საბჭოთა ტეოლოგიის, გეომშენებლობის, ავტომობილმშენებლობის, პოლიგრაფიული მრეწველობის 350 სამრეწველო საწარმოს პროდუქციასა და წარმატებებს.

მოამე საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახი დამასკოს ბაზრობაზე წელს წარმოადგინა საქართველომ. მზიური რესპუბლიკის დღეკვანდელობის ამსახველ ფოტოგამოფენას და სხვადასხვა საქონლის ნიმუშების ექსპოზიციასთან ერთად დამასკოს მცხოვრებნი და მრავალი სტუმარი გაეცნობიან ქართულ ეროვნულ მუსიკას, კულტურას, საქართველოსა და სირიის ტრადიციულ ურთიერთობას.

● ●

კარტერის ვიზიტი პეკინში

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი კარტერი ჩინეთის მთავრობის მიწვევით პეკინში ჩავა ათდღიან ვიზიტად. იგი შეხვდება ჩინელ ხელმძღვანელებს, ეწვევა შანხაის, აგრეთვე ჩინეთის ზოგიერთ სხვა რაიონს.

ფოტოსურათებზეა სატურნი

ნიუ-იორკი. ამერიკულმა კოსმოსურმა სადგურმა „ვოიჯერ-2“-მა, რომელიც საატურნისაკენ მიფრინავს, დაიწყო დედამიწაზე ამ პლანეტის პირველი ფოტოსურათების გადმოცემა.

როგორც საკონტროლო-საზომი კომპლექსის წარმომადგენელმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ „ვოიჯერ-2“ პლანეტიდან დაახლოებით 4 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული, ფოტოსურათების გამისახულება საკმაოდ მაღალხარისხოვანი და მკვეთრია.

ყველაზე საინტერესო ფოტოსურათების მიღებას 25 აგვისტოს მოელიან, როცა კოსმოსური სადგური პლანეტას 100 ათას კილომეტრზე ჩაუფრენს.

ვინ ემუქრება მშვიდობას

საერთაშორისო შენიშვნები

ბ იგლიით ხელში, თანამდებობის დაკავებისას ამერიკის ხალხს მომართავდა, პრეზიდენტმა რ. რეიგანმა 1981 წლის 20 იანვარს განაცხადა: „ჩვენ უზრუნველყოფთ საკმარის ძლიერებას, რათა საჭიროების შემთხვევაში გავიმარჯვოთ“.. ცოტა ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯ. უაინბერგერმა გასაოცარი ცინიზმით წამოიწია პენტაგონისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შორს გამიზნული მილიტარისტული გეგმები: „ვიმედოვნებთ, რომ იარაღის ახალ სტრატეგიულ სისტემებზე დაყრდნობით გავიმარჯვებთ“.

ხელისუფლების სათავეში რეიგანის რესპუბლიკური ადმინისტრაციის მოსვლისთანავე ოფიციალური ვაშინგტონი საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაშწვავების, გამალებული შეიარაღების დაჩქარების, „ცივი ომის“ დროისაკენ შემობრუნების კურსს დაადგა. ამრიგად, კარგად არის ცნობილი საყოველთაო მშვიდობისათვის საფრთხის ნამდვილი წყაროს მისამართი. ეს გახლავთ ვაშინგტონში მდინარე პოტომაკის ნაპირზე აღმართული ვეებერთელა ხუთკუთხედი, რომელიც თავისი მასშტაბით შეერთებული შტატების სამხედრო მანქანის მახინჯ გიგანტიზმს განასახიერებს. სწორედ აქედან ისვრიან მეთური „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ გამო ატეხილი ცილისმწამებლური კამპანიის მოწამლულ ისრებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა შირმა ამერიკის უპრეცედენტო მილიტარისტული მზადების დასაფარავად. ინიღბება რა ამ ავი მონაჭორით, იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობს განზრახ დათესოს უნდობლობა და შიში სსრ კავშირისა და მისი პოლიტიკისადმი, საბჭოთა კავშირს აშკარად აიჯადებს შეერთებული შტატების მთავარ მტრად. პოტომაკელი ცილისმწამებლები და სამხედრო მონოპოლიათა რუპორები, რომლებიც გაუგონარ სიცრუესა და დეზინფორმაციას მიმართავენ, ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი სხვათა ტერიტორიების დაპყრობას ლამობდეს, მისი სამხედრო ბიუჯეტი თავდაცვითს საჭიროებებს აღემატებოდეს და საბჭოთა კავშირს დასავლეთთან შედარებით დიდი სამხედრო უპირატესობა ჰქონდეს.

ამერიკის ადმინისტრაციას, წარდა გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, ობიავტელს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ ყიეინთ რომ ამბუუებს, ფაქტობრივად საქმე იქითკენ მიჰყავს, რომ „ჩვენოს მსოფლიოს ამერიკას შეუძლიაო ძალის გამოყენება, როცა და სადაც მოესურვება, აჩვენოს, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლია იოლას გავიდეს ყოველგვარი შეთანხმების დაუდებლად და წესების დაუცველად“. ამრიგად, ანტისაბჭოური პროპაგანდის კვამლის ფარდა მიზნად ისახავს მხოლოდ კაცობრიობისათვის საფრთხის რეალური წყაროს მიჩქმალვას.

მართლაც, თუ ამ სიყალბეს მოვუსმენთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს შეერთებულმა შტატებმა კი არა, საბჭოთა კავშირმა დაქცევა მსოფლიო სტრატეგიული სამხედრო ბაზებით, შეერთებულმა შტატებმა კი არა, სსრ კავშირმა გამოაცხადა მსოფლიოს საკვანძო რეგიონები, და უწინარეს ყოვლისა ნავთობით მდიდარი რაიონები, თავისი „საარსებო ინტერესების“ სფეროდ, შეერთებულმა შტატებმა კი არა, საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ბარბაროსული ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოების თაობაზე.

როგორც სკკპ XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაშია ნათქვამი, უკვე დიდი ხანია დრო სერიოზული პოლიტიკიდან განიდევნოს „საბჭოთა საფრთხის“ ჩამოძენილი საფრთხობელა. „ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანას, ომის საფრთხე მართლაც ეშინია, — განაცხადა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მაგრამ მისი წყაროა არა საბჭოთა კავშირი, არა მისი მითური უპირატესობა, არამედ თვით გამალებული შეიარაღება, დაძაბულობა, რომელიც ჯერაც არ დამეხრალა მსოფლიოში. ამ ნამდვილი და არა წარმოსახვითი საფრთხის წინააღმდეგ ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ ამერიკის, ევროპის სახელმწიფოების, ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის მხარდამხარ. ეცადოთ გაუსწრო მეტოქეს შეიარაღების გამალებით, იქონიო ბირთვული ომში გამარჯვების იმედი — ეს საშიში უგუნურებაა“.

ვერავითარი პროპაგანდისტული ხრიკები ვერ დამალავს სიმართლეს: სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მილიტარისტული წრეები ცდილობენ სამხედრო უპირატესობის მიღწევას საბჭოთა კავშირის მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ, როგორც ამას ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მონაცემები მოწმობს, პენტაგონმა შეიმუშავა ამერიკის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ახალი პროექტი 1983-1987 წლებისათვის, რომელიც ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ასტრონომიული თანხა — 1,6 ტრილიონი დოლარი დაუჯდებათ. პროგრამის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ვაშინგტონელ სტრატეგთა მადა 200 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ამერიკის ადმინისტრაციამ კონგრესის დასამტკიცებლად წარადგინა 1982 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტი 226,3 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ამერიკის შეერთებული შტატები ყველა ღონეს ხმარობს, რათა უზრუნველყოს თავის სამხედრო უპირატესობა ევროპაში. სწორედ ამ მიზნის ისახავს 1979 წლის დეკემბერში მიღებული ნატოს საბჭოს გადაწყვეტილება საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების, კერძოდ, „პერშინგ-2“ ბალისტიკური რაკეტებისა და „ტომაგავკის“ სახმელეთო ბაზირების ფრთიანი რაკეტების წარმოებისა და ევროპაში მათი განლაგების თაობაზე. ამასთან, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიიდან საბჭოთა კავშირის მიმართ, ამერიკის ტერიტორიიდან ევროპის ქვეყნებიდან, ინგლისიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან, ნიდერლანდებიდან, ბერლინიდან, ბონიდან, ანკარიდან, ათენიდან, ლისაბონიდან, ბრუქსელიდან, ოსლოდან, ანტვერპენიდან, ნეაპოლიდან, ტორინო

ხსოვნა ხალხისა

—ახლა აქეთ მობრძანდით, — ყრუდ გვითხრა ექსკურსიამძღოლმა და ტურისტთა ჯგუფი ვიწრო გასასვლელით შევიდა დაბინდულ დარბაზში, რომელშიც ფარდები რატომღაც ჩამოეშვათ.

ცოვდაპირველად დარბაზი ცარიელი გვეგონა. კერის გარდა, სადაც ნამდვილივით ციმციმებდა ელექტროლამპა, ვერაფერს ვერ ვხედავდით. შუაცეცლზე თენჯერა ეკიდა. ყველაფერი მოლოდინს მოგაგონებდა: კერას არ აცივებდხეს, საჭელს ამზადებდნენ, ვინ ელოდა და ვის ამ მღელვარე დუმილით აღსავსე თაღებქვეშ?

ელოდნენ დედები... ელოდნენ შვილებს, ომიდან შინმოსულებს. მათთვის ინახავდნენ ბრინის სითბოს. შემოგვაქეროდნენ დედის თვალები, ფიქრიანი, ფიქალიანი, ცრემლდამშრალი თვალები. შემოგვაქეროდნენ დიდი, ადამიანისტოლა ფოტოსურათებიდან, რომლებიც კედლებზე ჩამოეკიდათ, შავ-თეთრი სურათები ომამანეთს მისდევდა. ათიოდე ბარტიები — მარჯვენა მხარეს, ბენინვე — მარცხნივ. სხვადასხვა ეროვნების დედები — რუსები, ქართველი, ჰოლანდიელი...

— ამ დარბაზს „მგლოვიარე ედათა დარბაზი“ ვუწოდეთ, — ბრძანა ექსკურსიამძღოლმა. მისი სიტყვები სრულ სიჩუმეში გაისმა. ჩვენს ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ხალხი იყო. ზოგმა ბრის ამბავი კინოდან და წიგნებიდან იცოდა, ზოგს თვითონ გადაეტანა მისი ქარცეცხლიანი გზა. მაგრამ ყველას გვესმოდა: ეს შეთქმული გულით ვეზიარეთ რაღაც უშინდელს. ვეზიარეთ ომის ხსოვნას.

ადის წლები, მოჰქრიან გაზაფხულები, იზრდება საბჭოთა ადამიანების ახალი თაობები — ომის გმირობის ხსოვნა კი არ ნელდება. იგი ცოცხლობს კრემლის გალავანთან მარადიულ ცეცხლში, დიდი ქალაქების მოედნებზე წამამართულ მონუმენტებში და სოფლის შარაგზებზე ფრად მდგარ წითელვარსკვლავებიან ობელისკებში... იგი ცოცხლობს ფოტოსურათებში, ვეტერანთა მოგონებებში, აი, ასეთ ექსკურსიებში, როგორიც აქ არის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეგობრობის მუზეუმში.

„აღსდგე, სამშობლოვ, ჩემო ადამ“, — შემოგვხვდა ეკატმატის სავაზნიდან 23 ვაზნა დააძრო და მეგობარს მიართვა. რატომ მაინც-დამაინც 23? იმტომ, რომ შალვას იმ დღეს სწორედ ამდენი წელი შეუსრულდა. მალე ვერეშჩაგინი ძმიმედ დაიჭრა და ერევნის ჰოსპიტალში გაგზავნეს. ეს რომ შეიტყო, შალვამ წერილი მისწერა თავის დას და სთხოვა, ვერეშჩაგინი თბილისში ჩაიყვანე და ძმასავით მოუარეო. დამ თხოვნა შეუსრულა...

ამას წინათ შალვა თათარაშვილმა 60 წლის თავი გადაიხადა. მეგობრობის მუზეუმის ინიციატივით სტენდთან, რომელიც მცირემიწელთა გმირობაზე მოგვითხრობს, ერთმანეთს შეხვდა ორი ფრონტელი მეგობარი.

— ვაზნების ჩუქების ამბავს, — შენინშავს ჩვენი ექსკურსიამძღოლი, — ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იხსენებს „მცირე მიწაზე“.

ჩვენს კვალდაკვალ დაბინდულ დარბაზში შემოდის კიდევ ერთი ჯგუფი. ესენი მოსწავლეები არიან, ნაწერავებიანი გოგონები ჯგუფს გამოეყვნენ და ფეხაკრეფით გაემართნენ კერისაკენ. მათ ხელში წითელი მიხაკები ეჭირათ. აი მოსწავლეები გაირინდნენ ცეცხლთან. თავი დახარეს და მოწიწებით დაუწყეს ყვავილები კერის კიდეზე.

ეს ყვავილები მათ მიართვეს დედებს, რომლებმაც გმირობის გზა დაულოცეს შვილებს. ეს ყვავილები მიართვეს თაობას, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა ომის ოთხი წელი.

ა. კარპიჩევი,
გ. ლეგანიძე,
(„პრავდა“ სპეც. კორ.).
„პრავდა“, 1981, 21 VIII.

ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

„ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲨᲔᲣᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘᲗ“ — რამდენ დარდსა და ფიქრს აგვიშლის ხოლმე სამადასამი სიტყვისგან შემდგარი ეს მარტივი წინადადება, ათასში ერთხელ გაზეთის მეოთხე გვერდზე, პატარა ინფორმაციის სათაურად რომ გამოჩნდება.

არის კიდევაც ეს ამბავი ღრმად დასაფიქრებელი და სამწუხარო-სადარდელიც: ამით ხომ იმას გვაუწყებენ, რომ ვიღაცის სიცოცხლე შეეწირა ჩვენს ინტერესებს, საზოგადების ინტერესებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ვერ აღეზარდეთ, ვერ მოვუფარეთ, ხელიდან წაგვვიდა, საბოლოოდ დავკარგეთ მისი გამოსწორების იმედი და ახლა იძულებული ვართ უკიდურეს ღონეს მივმართოთ: სამუდამოდ მოვიშოროთ, მოვიკვეთოთ — სიკვდილით დავსაჯოთ.

მაგრამ რა მძიმეც უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული და რა გადაგვარებული და გამოუსწორებელიც უნდა ჩანდეს ბოროტმოქმედი, ადვილი ხომ არ არის სასწორზე დადო ადამიანის სიცოცხლე და გადაწყვიტო მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი...

იმ მომენტიდან, როდესაც საბრალდებო დასკვნა წაიკითხეს და დანაშაულის კონტურები გამოიკვეთა, ეს ფიქრი ეხატა სახეზე ყველას — სასამართლოს წევრებსაც და პროკურორსაც, განსასჯელთა ჭირისუფალსაც და დამსწრე საზოგადოებასაც — ყველას, ვინც ლაგოდეხის კულტურის სახლში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სამსჯავრო სხდომებს ესწრებოდა, სადაც ბანდიტებს ასამართლებდნენ და რომელთაგან სამს სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა გადაუწყვიტეს.

ეს იშვიათად ხდება, მართლმსაჯულება იშვიათად არის იძულებული სასჯელის ამ უკიდურეს ღონისძიებას მიმართოს, თანაც სამ კაცს ერთდროულად მიუსაჯოს სიკვდილი. მაგრამ ვინც ამ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, ამ ბანდიტთა ავკაცობით შეძრწუნებულთ სხვა სასჯელი გულშიც არ გაუვლიათ, და თვით ბოროტმოქმედნი ისეთი დაეჭვებით და გაუბედავად ითხოვდნენ სიცოცხლის შენარჩუნებას, ეტყობოდათ თავადვე არ სჯეროდათ, რომ სიცოცხლის ღირსნი იყვნენ (კიდევ კარგი, ამას თუ მიხვდნენ. მათი მხრივ ეს ალბათ სინანულს უდრიდა).

მაგრამ უკვე დროა მკითხველს თვით ბოროტმოქმედნი და მათი ავი საქმეები გავაცნოთ, რომ საშუალება მივცეთ თავადვე შეაფასოს და განსაჯოს დანაშაულიც და სასჯელიც.

ბოროტმოქმედთა ბანდის დამფუძნებელი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი შალვა ალექსანდრეს ძე ფოფხაძე 33 წლისაა. დაიბადა და გაიზარდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში. ოცდასამი წლისა იყო ოჯახს რომ მოეკიდა: 1971 წელს ოუდმილა მოსიძესთან დაქორწინდა და რუსთავში გადასახლდა. ბინაც მასთან დადო, , მალე ორი შვილი გაუჩნდათ, ოცდაათი წლისა ისე მოიყარა, რომ მრუდე, საქმეში შენიშნული არ ყოფილა. ოღონდ ეს იყო, მუშაობას გული ვერ დაუდო და ალბათ მთავარი მიზეზიც ეს გახლდათ, ოჯახი რომ დაენგრა: 1976 წელს მეუღლეს გაეყარა, ოჯახიდან წამოვიდა და შვილებიც ორივე თან წამოიყვანა. მალე კვლავ დაქორწინდა, 17 წლის ნინო ბალიაშვილი შეერთო ცოლად. ახალგაზრდა მეუღლემ ზედიზედ გაუჩინა შვილები, ორ გერ შვილს ორიც საკუთარი მიამატა და გამოარავლდა ოჯახი. მაგრამ ყველაზე მეტად უბინაობა აწუხებდათ, მდგმურადაც არავინ იღებდა წვრილშვილიანი ოჯახს. სოფელში მიბრუნება კი არ სურდათ არც ქმარს და არც ცოლს. არადა რუსთავში ბინის მიღების აღრიცხვაზეც კი არ იყვნენ. რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მაინც გაითვალისწინა მათი ოჯახის მდგომარეობა, დაკმაყოფილა მათი თხოვნა და ოროთახიან იზოლირებულ ბინაში ერთი ოთახი მისცა. დროებით საცხოვრებლად.

ამ პერიოდში შალვა ფოფხაძე უკვე ელექტროშემღუდებლად მუშაობდა გაჩიანში და ოჯახში ასე თუ ისე სიმშვიდე და სიამტკბილობა სუფევდა. მაგრამ შეუნჩდა ეშმაკი ფოფხაძეს და ის თავისი მეზობელი ამოიღო თვალში, იმ ერთ ოთახში რომ ცხოვრობდა გვერდით. ეს მეზობელი, გვარად ივანოვი, მარტოხელა კაცი იყო და მთელი თავისი დღე და მოსწრება ალიმენტის გადახდას არიდებდა თავს. შალვა ფოფხაძემ ამოიჩემა ეს კაცი და მისი ბინდან გაგდება მოინდომა...

რაღა თქმა უნდა, მის ამ უკანონო მოთხოვნას არავინ დაეკმაყოფილებდა. მაშინ გადაწყვიტა თვითონვე, ხელისუფლების ორგანოების ჩაურევლად და დაუზმარებლად საიდუმლოდ მოეგვარებინა ეს საქმე. 1979 წლის აგვისტოს ერთ კვირა დღეს ფოფხაძემ „საქართველოს მშვენიერი ბუნების დათვალიერების“ მიზნით მშობლიურ სოფელ გურგენიანში, მშობლების ოჯახში წაიყვანა ნ. ივანოვი. შინ რომ გაუმასპინძლდა, მერე ერთი ბოთლი არაყი წამოიღო და კაკაკასიონის მთების კალთებზე ტყეში „ნინჩქერის სანახავად“ გაიტყუა სტუმარი, მოკლა და არც კი დაუმარხავს, „ნინოს ხევში“ გადაადგო იქვე. მერე ჩამოვიდა და მის ოთახს დაეპატრონა. თავის მეუღლეს და უბნის ინსპექტორს, ალიმენტისათვის რომ აკითხავდა ნ. ივანოვს, უთხრა: ორასი მანეთი ვასესხე ამ ლოთს, მის შემდეგ წავიდა და წავიდა, შინ აღარ მოდისო, თანაც ინსპექტორის თვალს ასაბეზეად დასძინა: ამას წინათ ბაზართან ვიღაც ქალთან ვნახეო მთვრალი.

გამოხდა ხანი და იმავე წლის ოქტომბერში „ნინოს ხევში“ სოფელ გურგენიანის მახლობლად იპოვეს უცნობი მამაკაცის გახრწნილი გვამი, მაგრამ ვერც მისი ვინაობა დაადგინეს, ვერც სიკვდილის მიზეზი.

ასე მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ ჩაიარა შალვა ფოფხაძის მიერ ანგარებით ჩადენილმა ამ ვერაგულმა მკვლელობამ.

ადვილი ასახსნელი არ არის. როგორ და რატომ დაადგა ბოროტმოქმედების გზას 31 წლის კაცი, ოთხი შვილის მამა, რომლის ცხოვრება აქამდე რაიმე სერიოზული დანაშაულით შებღალული არ ყოფილა. და რაღაც ათკვადრატულმეტრიანი ოთახისათვის მოსაკლავად როგორ გაიმეტა კაცი. ის კი ნათელია და გასაგები, რომ მას შემდეგ, რაც „სისხლის გემო გაესინჯა“ და კიდევაც შერჩა, მისთვის უკვე ავი საქმე იოლი და სათავისო გახდა. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ სამუშაოს ვერ დაუდო გული და გაჩიანში თავის ხელობაზე მიბრუნებულმა მალე, 1980 წლის მარტში კვლავ მიატოვა საწარმო და იოლი გზით ფულის შოვნაზე დაიწყო ფიქრი.

ასეთ საქმეში მარტოკაცი არ გამოდგებოდა, თანამზრახველნი და დამფსონები უნდა ეძოვა. პირველად ძველ ნაცნობებს რომანოზ დარსაველიძეს და გურამ კუპატაძეს გაუტყდა. დარსაველიძე მისი მეზობელი იყო და ახლო იცნობდა, შაუმიანის ქუჩაზე პირველ მეუღლესთან რომ ცხოვრობდა, იმ დროიდან. იცოდა უსაქმური იყო, ნასამართლევი და ყალთაბანდი. კუპატაძე ტაქსის მძღოლად მუშაობდა, ისიც ნაცნობი და თავზე ხელაღებული იყო და ყველაფერზე მოაწერდა ხელს.

აიყოლია ისინი და აპრილის ერთ დღეს თავის სოფელ გურგენიანში გაემართნენ ტაქსით მეზობლის — გრიგოლ შარიქაძის ოჯახის გასაძარცვავად, შევიდნენ კიდეც სახლში, მაგრამ მოულოდნელად სახლის პატრონს შეეფეთნენ და ხელცარიელი გამობრუნდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე სამეულმა, რუსთავის ქუჩებში რომ სეირნობდნენ გ. კუპატაძის ტაქსიდ, მთვრალი მოქალაქე ა. ერმაშკოვი შენიშნეს, ჩაისვეს მანქანაში, გაძარცვეს. და მანქანიდან, გადაგდეს, არც ამჯერად გუმართლათ: ეცოტავათ ნადავლი, ერმაშკოვს არაფერი აღმოაჩნდა ერთი ძველი 40-მანეთიანი მაჯის საათის გარდა.

შალვა ფოფხაძეს დარდი შემოაწვა გულზე და საფიქრალში ჩავარდა: არა, ასე არაფერი არ გამოვა, ზოლაც უნდა მოვიფიქროთ სერიოზულად, ფულის შოვნა თუა, შოვნა იყოს!

სწორედ ამ პერიოდში, ასე დაღონებული და შეფიქრიანებული რომ იყო თავისი მომავალი ცხოვრების გზისა და სახსრის გამო, ბედმა მას იური ცნობილაძე შეახვედრა, ლაგოდეხის პროკურორის მძღოლი, ახალგაზრდა, მაგრამ გამოქექილი .და ცხოვრებაში ფრიად „ჩახეული“ კაცი. ლაგოდეხიდან თბილისში მომავალ ცნობილაძეს შემთხვევით შეხვდა და მანქანაში ჩაუჯდა ფოფხაძე, მგზავრობისას ფართოდ გადაუშალეს გული ერთმანეთს და მალე გამოირკვა, რომ ეს რასაველიძე მისი მეზობელი იყო და ახლო იცნობდა, შაუმიანის ქუჩაზე პირველ მეუღლესთან რომ ცხოვრობდა, იმ დროიდან. იცოდა უსაქმური იყო, ნასამართლევი და ყალთაბანდი. კუპატაძე ტაქსის მძღოლად მუშაობდა, ისიც ნაცნობი და თავზე ხელაღებული იყო და ყველაფერზე მოაწერდა ხელს.

აიყოლია ისინი და აპრილის ერთ დღეს თავის სოფელ გურგენიანში გაემართნენ ტაქსით მეზობლის — გრიგოლ შარიქაძის ოჯახის გასაძარცვავად, შევიდნენ კიდეც სახლში, მაგრამ მოულოდნელად სახლის პატრონს შეეფეთნენ და ხელცარიელი გამობრუნდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე სამეულმა, რუსთავის ქუჩებში რომ სეირნობდნენ გ. კუპატაძის ტაქსიდ, მთვრალი მოქალაქე ა. ერმაშკოვი შენიშნეს, ჩაისვეს მანქანაში, გაძარცვეს. და მანქანიდან, გადაგდეს, არც ამჯერად გუმართლათ: ეცოტავათ ნადავლი, ერმაშკოვს არაფერი აღმოაჩნდა ერთი ძველი 40-მანეთიანი მაჯის საათის გარდა.

შალვა ფოფხაძეს დარდი შემოაწვა გულზე და საფიქრალში ჩავარდა: არა, ასე არაფერი არ გამოვა, ჩალაც უნდა მოვიფიქროთ სერიოზულად, ფულის შოვნა თუა, შოვნა იყოს!

სწორედ ამ პერიოდში, ასე დაღონებული და შეფიქრიანებული რომ იყო თავისი მომავალი ცხოვრების გზისა და სახსრის გამო, ბედმა მას იური ცნობილაძე შეახვედრა, ლაგოდეხის პროკურორის მძღოლი, ახალგაზრდა, მაგრამ გამოქექილი .და ცხოვრებაში ფრიად „ჩახეული“ კაცი. ლაგოდეხიდან თბილისში მომავალ ცნობილაძეს შემთხვევით შეხვდა და მანქანაში ჩაუჯდა ფოფხაძე, მგზავრობისას ფართოდ გადაუშალეს გული ერთმანეთს და მალე გამოირკვა, რომ ეს

ᲒᲖᲐ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

- ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲚᲐ�გᲝᲓᲔᲮᲨᲘ: ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐᲗ
- ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘ

ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲯᲐᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

თელავი

ახალი ხიდი მდინარე კისისხევზე

თელავიდან წინანდალში მიმავალი მაგისტრალური გზა მდინარე კისისხევის გადაკვეთაზე 12 მეტრი სიგანის მკვიდრად ნაგებმა ხიდმა დაამშვენა. დღემდე მდინარეზე გადებული პატარა ხიდი აშკარად აფერხებდა მოძრაობას და ავტოკატასტროფებს იწვევდა.

ხიდის გაფართოების სამუშაოები ჩაატარა საქართველოს საავტომობილო მშენებლობის სამინისტროს № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ.

მიმდინარეობს რესტავრაცია

თელავი ისტორიულ ნაგებობათა სიძველითა და არქიტექტურული ძეგლებით დიდ ინტერესს იწვევს, რითაც ღირსეულად დაიმკვიდრა ქალაქ-მუზეუმის სახელი.

მოკლე პერიოდში აქ ბევრი რამ გაკეთდა ისტორიული ქალაქის წარმოჩენისათვის, პირველდელი სახე დაუბრუნდა ძველ ნაგებობებსა და ქუჩებს. განსაკუთრებით დიდი სარესტავრაციო სამუშაოები გაეშალა კახეთის მეფეთა ციხე-სასახლის აღდგენისათვის.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის დღეებისათვის ერეკლე მეორის დროინდელი სახით აღდგება კახთ-ბატონის სასახლე და ციხე-სიმაგრე, ციხის ბურჯები, კარის ეკლესია, კარის აბანო. რესტავრაციის პროექტის ავტორია არქიტექტორი ზაალ მელვინეთუხუცესი. რესტავრაციას ასრულებს კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამმართველოს სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს კახეთის უბანი (უფროსი გიორგი ლომოური).

„აჩინებულის“ პერსპექტივები

ქალაქის სამრეწველო კვარტალი ძირითადად „აჩინებულის“ ტერიტორიაზე მდებარეობს, თელავის ჩრდილოეთით და მას ქალაქთან ახლად აშენებული მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები აკავშირებს.

მაგრამ უფრო მეტს ჰპირდება თელაველ მშრომელებს „აჩინებულის“ პერსპექტივები.

საბჭოთა მშენებლობის ტემპი კიდევ უფრო ჩქარდება, სპეციალიტეტ ინსტიტუტს — „საქქალაქმშენსაპროექტს“ უკვე შემუშავებული აქვს ქალაქის ერთ-ერთი დიდი მიკრორაიონის განაშენიანების პროექტი, რომლის განხორციელებაც მალე დაიწყება. საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთი თელავის ხევის მარცხენა მხარეს, ვარდისუბნის და თელავის ხევებს შორის ტერიტორიაზე მდებარეობს.

პროექტის მიხედვით კავკასიონის ქედის გასწვრივ აშენდება 9-სართულიანი კოშკური საცხოვრებელი სახლები, რომელთა პირველი სართულები დაეთმობა საკაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს. ასეთივე სახლები აშენდება კომპლექსის შიგნით, ძირითადად კი მიკრორაიონი განაშენიანდება ხუთსართულიანი სექციური სახლებით. კომპლექსში მოეწყობა სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედნები, აშენდება დეკორატიული აუზები, ხეივნები.

ახალ მიკრორაიონში საცხოვრებელ ბინას 5000-მდე კაცი მიიღებს.

საბაშვნიკე

სასტუმროების „კახეთისა“ და „თელავის“ მიმდებარე ტერიტორია „ბატონის წყალთან“ კიდევ ერთმა ლამაზმა არქიტექტურულმა ნაგებობამ დაამშვენა, საექსპლოატაციოდ გადაეცა „საბაშვნიკე“, სადაც ოქტომბრიდან უმაღლესი ხარისხის ღვინოები გაიყიდება. „საბაშვნიკეს“ პროექტის ავტორია გ. ჯაბუა. იგი აშენა „საქკვებრემმშენის“ ტრესტის № 3 სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ. მშენებლობაზე ერთგულად შრომობდნენ გ. ფიცხელაური, შ. ჭინჭარაული, ჩუქურთმების ოსტატი მ. გაგნიძე. „საბაშვნიკე“ მოზაიკურად გააფორმა გ. ქლიბაძემ.

შენ ხარ ვენახი

ლამაზმა ქანდაკებამ დაამშვენა თელავის ცენტრი. ილია ჭავჭავაძის სახელობის კინოთეატრის წინ, სკვერში დაიდგა ბრინჯაოს ხუთმეტრიანი ქანდაკება „შენ ხარ ვენახი“. ქანდაკების ავტორია ჯემალ თუმურაშვილი, ჩამომსხმელი — ალექსანდრე ხადური.

ეს ძეგლი სიმბოლურად გამოხატავს რაიონის ძირითადი დარგის — მევენახეობის მუშაკების საქმიანობას.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზეიმი ლაშარის გორაზე

ივრის ხეობას ამ დღეს უამრავი სტუმარი ჰყავდა. ტრადიციული „მეცხოველის დღე“ იყო, რომელიც შრომის საერთო დღესასწაულად გადაიქცა.

ლაშარის გორაზე შეიკრიბნენ ზეიმის მონაწილენი. ლამაზი სანახავი იყო დროშებით, ტრანსპარანტებით მორთული მინდორი, სადაც თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობას თავისი კუთხე მოეწყო — საპატიო დაფები, გეგმა-ვალდებულებათა შესრულების ცხრილები, შრომისა და დასვენების ამსახველი ფოტოსურათები უხვად იყო წარმოდგენილი.

მალე ზეიმის ოფიციალური ნაწილიც დაიწყო. მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერლანმა. მან საქმიანად სადღეისოდ გააანალიზა რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა, აღნიშნა მიღწეული წარმატებები, ილაპარაკა ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზებსა და საშუალებებზე.

შეკრებილთა წინაშე გამოსულნი საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და რიგითი მუშაკები, მეცხოველეები, საკვებდამამზადებლები საჯაროდ დებდნენ პირობას, რომ ყველაფერს იღონებენ პარტიის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის დღეებში და რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა დაგვავალა.

შრომის დღესასწაულს ლექსი ამშვენებს, და ამ დღესაც შინაარსი და სილამაზე შემატა პოეტების გიორგი გიგაურის, ალაზა ხაიაურის, ტარიელ ხარხელაურის, სახალხო მთქმელის ალექსანდრე დულუზაურის გამოსვლებმა.

აქვე მოწინავე ახალგაზრდებს გადაეცათ კომკავშირის თიანეთის რაიკომის სიგელები, მეცხვარეებმა მიიღეს ახალი „შეესება“, ხუთ ჭაბუკს საზეიმოდ წამოასხეს ნაბდები და მთის ბილიკებისაკენ გზა დაუღოცეს. მეცხოველეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

მეტანიზატორი ლევან ნავროზაშვილი, რომელმაც თავის ორ შვილთან ერთად რამდენიმე ათეულ ჰექტარ ფართობზე აიღო ბუნებრივი და ნათესი ბალახები, საპატიო ნიშნის ორი ორდენის კავალერი მწველავი ნინო კედიანაშვილი, ვეტერანი მწყემსები შალვა ფოლდიშვილი, გიგლა ზაველური და სხვები აღფრთოვანებასა და სიხარულს გვიზიარებდნენ მათი შრომის, ესოდენი დაფასებისათვის, მუშაკის აღიარებისა და პატივისცემისათვის.

მეცხოველეთა ზეიმი კონცერტმა და სპორტულმა ღონისძიებებმა დაამშვენა. ლხინი დიდხანს გრძელდებოდა ლაშარის გორაზე.

გ. ხახიაური,
თიანეთის რაიონი.

ფოტოობიექტივი მოგვითხრობს

სიცოცხლის ღიმილი

ადამიანური მშვენიერების სწორუპოვარ ნიშნად მიგვაჩნია ღიმილი — სიცოცხლის ტრფიალით, შთაგონებით, მადლიერებით ჩენილი. ერთი შეხედვით თითქოს უგრძნობელ ჩვენს ფოტოობიექტივსაც ამ ხაოცარი სიკეთის აღბეჭდვის გულწრფელი წყურვილი ამოძრავებს.

მოზეიმე კეთილშობილების სიმბოლოა იგი — ღიმილი.

კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის სახის შუქი მისივე მელოდიების განწყობილებად ქცერს;

ტრიუმფული გასტროლებიდან დაბრუნებულ რამაზ ჩხიკვაძეს შერემეტიევის აეროპორტის საბაჟოსთან დახვდა მეგობრობის სწორუპოვარი კანონებით დადგმული მიზანსცენა...

შავულვაშა ჩოხიანის კამარამ კი... მსოფლიოში სულ ღიმილით გვატარა.

ვასილ მჟედლიშვილი.
ავტორის ფოტო.

ალიარება

აი უკვე ათი წელია, რაც ოდესის მშენებელ-ინჟინერთა ინსტიტუტის „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის“ კათედრას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი მიხეილ გარაყანიძე.

მისი რეგალიების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება: ამავე ინსტიტუტის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ეკსპერიმენტული დაპროექტების დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, უკრაინის სსრ არქიტექტორთა კავშირის ოდესის განყოფილების გამგეობისა და ოდესის საქალაქო აღმასკომის ქალაქთმშენებლობის საბჭოს წევრი.

საქინფორმის კორესპონდენტი რ. ცოცქირიძე ოდესაში ესაუბრა პროფესორ მ. გარაყანიძეს.

— პატივცემულო მიხეილ, თქვენ თბილისში ხელმძღვანელობდით ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებას, რამ გამოიწვია თქვენი ოდესაში გადასვლა?

— 1970 წელს ოდესის მშენებელ ინჟინერთა ინსტიტუტში შეიქმნა არქიტექტურის ფაკულტეტი. მე მომიწვიეს „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის“ კათედრის გამგის თანამდებობაზე. ვფიქრობ, რომ მე, 60 წლის კაცს, გამჭირდა შობლიურ ქალაქთან — თბილისთან განშორება, მაგრამ ვერც უკრაინელ მეგობრებს გავუტეხე ხათრი.

— რა იყო მთავარი თქვენი არქიტექტურული მოღვაწეობის მეცნიერული შემოქმედებითი პოზიციის ჩამოყალიბებაში?

— საქართველოს ხალხური არქიტექტურის შესწავლამ შესაძლებლობა მომცა ჩაფწვდომოდი ხის ხუროთმოძღვრების ეროვნულ ხასიათს, რომელიც შევიდა სსრ კავშირის ხალხთა არქიტექტურის ისტორიაში. მეცნიერული ძიების ეს საინტერესო დარგი ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემაა.

— რა ღირებულება აქვს მეცნიერებისათვის ხის არქიტექტურის გამოკვლევას?

— საქართველოს ხალხური არქიტექტურა გამოირჩევა იდეის მთლიანობით, რომლითაც გამსჭვალულია ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი ზოგადი კომპოზიციიდან დეტალებამდე, იმ ესთეტიკური ამოცანის პრაქტიკული მიზანშეწონილობის ერთიანობით, ხალხის საარსებო მოთხოვნილებებითა და მისი მხატვრული გემოვნებით რომ არის განპირობებული. ხის ხუროთმოძღვრება საქართველოს ხალხური არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ისტორიული განვითარების პროცესში მისი თავისებურებებისა და ხერხების შესწავლით მტკიცდება ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციების სიძველე, რომლებიც მუდამ დაკავშირებულია გლეხური მეურნეობის საარსებო პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან.

წარსულის ამ მემკვიდრეობის ათვისება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მთელი რიგი კომპოზიციური ხერხები, რომლებიც შეგვიძლია ნაყოფიერად მოვიხმაროთ თანამედროვე მშენებლობაში, აგრეთვე გამოყენებითს ხელოვნებაში.

— რით აღინიშნა თქვენი „ოდესური ათწლეული“?

— ამ ათ წელიწადში, რაც კათედრას ვხელმძღვანელობ, მოვამზადეთ ათასობით არქიტექტორი, რომლებმაც კარგი გამოცდილება მიიღეს ჩვენს სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიაში. აქ სტუდენტები იკვლევენ და ექსპერიმენტულად აპროექტებენ დასვენებისა და ტურიზმის ახალი ტიპის დაწესებულებებს ახალგაზრდობისა და სტუდენტობისათვის. ლაბორატორიაში მომზადდა 30-ზე მეტი ნაკვლევი, 25 ბროშურა და მეცნიერული სტატია, სხვადასხვა რეკრეაციული დაწესებულებისა და ინსტიტუტის სანატორიუმ-საწარმოო კორპუსის ორმოცდაათზე მეტი პროექტი. უკრაინის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ჩვენი კათედრა დამტკიცდა „არქიტექტურის“ სპეციალობის საბაზო კათედრად. ჩემი აზრით, ეს აქტი ოდესის არქიტექტურული სკოლის ოფიციალური აღიარებაა.

ისევ დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ არქიტექტურული განათლებისა და სწავლების მეთოდიკის გაღრმავებაში პროფესორ მ. კ. გარაყანიძის დიდი ღვაწლის აღიარებაა მისი დაბადების 70-ე და შემოქმედებითი, საპროექტო-საშენებლო, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც ამაგდარ მეცნიერს ოდესაში გადაუხადეს.

ნადირობის მოყვარულთა საყურადღებოდ

მწყერი, რამდენად უვნებელია ივი

მონადირეებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში ძირითადად მწყერზე ნადირობენ, სეზონი აგვისტოში იწყება.

გვინდა რამდენიმე რჩევა მივცეთ ჩვენს მონადირეებს. როგორც წინათ, ახლაც სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში შუმჩნეულია, რომ წლის გარკვეულ პერიოდში და გარკვეულ რაიონებში მწყრის ხორცი „მომშხამავად“ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით.

ერთ-ერთი მათგანია მწყრის ცუდი გასუფთავება. თუ მოკლული მწყერი ნესიერად არ გასუფთავდა, შეიძლება შეჰყვეს საფანტი და, ამრიგად, ორგანიზმი ტყვიით მოინამლოს. განსაკუთრებით საშიშია საფანტის შეყოლა კონსერვაციის დროს. ცნობილია, რომ ზოგიერთი მოქალაქე აკონსერვებს მწყერს — ზოგი მოხარშულს, ზოგიც — შემწვარს. ჯერ ერთი, ასეთი დაკონსერვება, საერთოდ არ არის მიზანშეწონილი, რადგან ძალიან დიდია ბოტულიზმით დაავადების საშიშროება, მეორეც, რაღა თქმა უნდა, რომ კონსერვაციის წინ მწყერი საგულდაგულოდ უნდა გასუფთავდეს... იმის შემთხვევებიც არის, რომ მწყერს კარგად ასუფთავებენ, მაგრამ მონამვლა მაინც ხდება. რითია ეს გამოწვეული? ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია მწყერი იჯვებებოდეს ისეთი მცენარეულობით, რომელიც მასზე ცუდად არ მოქმედებს, ადამიანისთვის კი საწამლავია. გარდა ამისა, ეკოლოგიური რთული ჯაჭვის მეშვეობით, შხამიანი ნივთიერება, რომლითაც წამლავენ ყანას, მინდორსა თუ ტყეს, უამრავი ჰერბიციდები, პესტიციდები თუ ინსექტიციდები შეიძლება მოხვდნენ ჯერ ბალახსა თუ ნაყოფზე ან კენკრაზე, შემდეგ მწერის სხეულში აკუმულირდეს და ბოლოს მოხვდეს მწყრისა თუ სხვა ფრინველის სხეულში. თუ ასეთი ფრინველის ხორცი ,ადამიანის ორგანიზმში აღმოჩნდა, შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. ზოგი ნივთიერება თავისთავად შეიძლება ადამიანისათვის მომწამვლელი არ იყოს, მაგრამ სხვა ნივთიერებასთან შერევისას საწამლავად იქცეს... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგი ფრინველი უგემური და შეიძლება მომწამვლელიც კი იყოს გამარავლების პერიოდში, როდესაც ფრინველის ორგანიზმში ღრმა ცვლილებები მიმდინარეობს.

ამას წინათ წერილი მოგვივიდა ამერიკიდან, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, სადაც შექმნილია ცენტრი, რომელიც აგროვებს მონაცემებს მწყრის ხორცით მოწამვლის თაობაზე. ჩვენში ასეთი მოწამვლის შემთხვევა დღემდე აღრიცხული არ ყოფილა. ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღირიცხოს. ჩვენი აზრით, ამას „მონკავშირის“ ძირეული ორგანიზაციები უნდა აკეთებდნენ და ეს მონაცემები ცენტრალიზებულად უნდა იყრიდეს თავს ამ საზოგადოების პრეზიდიუმში, აქ კი რეგისტრაციაში ტარდებოდეს უმჯობესია — კარტოთეკის სახით. ცხადია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უნდა ხდებოდეს თითოეული შემთხვევის საგანგებო შესწავლა-გამოვლინება.

ცნობილია, რომ მწყერი ჩვენში ბუდობს, ე. ი. იგი მოფრინავს გაზაფხულზე და მიფრინავს შემოდგომით. ჩვენში იგი მრავლდება, საქართველოს ტერიტორიაზე — შავიზღვისპირეთში გადის ამ ფრინველთა სამიგრაციო გზა, და ისიც ცნობილია, რა დიდი რაოდენობით ხოცავს მას მოსახლეობა: ფრენით დაუძლურებულ ფრინველს იჭერენ ბადით, ჯოხებით... მწყრების მცირე ნაწილი რჩება ჩვენთან ზამთარშიც — შირაქში, გარეჯის უდაბნოსა და ზოგიერთ სხვა ადგილას. ამრიგად, ჩვენში ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მწყერზე დაკვირვება. ზოგიერთი მონადირე ნადირობის წესებს არ იცავს და ხშირად ნებადაურთველ დროს ხოცავს მწყერს.

საქართველოში მწყრით მოწამვლის შემთხვევა რომ არ არის აღნიშნული, იქნებ იმის გამო იყოს, რომ როგორც მწყრის, ისე სხვა ფრინველის საჭმელად გამზადებისას — მის შიგნეულობას ყრიან, ჩვეულებრივად საკვებად არ იყენებენ.

მეცნიერებმა უნდა იცოდნენ მწყრის ხორცით მოწამვლის თითოეული შემთხვევა, უნდა ჰქონდეთ საშესაძლებლობა მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-შესწავლისა და, ვფიქრობ, ყველა ვალდებულია მონაწილეობდეს ამ საქმეში.

რ. ჟორდანია,
დოცენტი.

კონკურსის შედეგები შეჯამებულია

საქართველოს საბჭოთა მილიციის მე-60 წლისთავს ეძღვნებოდა ლიტერატურული და მუსიკალური კონკურსი საუკეთესო მხატვრული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, რომელიც გამოცხადეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებმა და რესპუბლიკის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა.

და აი, ამ დღეებში ჟიურომ შეჯამა კონკურსის შედეგები: კონკურსზე წარმოდგენილ არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ მიენიჭა პირველი პრემია. მეორე პრემია გაინაწილეს მწერლებმა: **ბ. სეირანიანმა** მოთხრობისათვის „ქარიშხალი ველავ მძვინვარებდა“ და **ი. ბოცირიძემ** სცენარისათვის „ლაზარეს აღტაკინება“.

მესამე პრემია მიენიჭა **ზ. მესენგიხირს** რომანისათვის „მზე ისევ მალე გამოანათებს“.

კონკურსზე წარმოდგენილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან **პირველი პრემია** მიენიჭა კომპოზიტორ ნ. მამისაშვილს ნაწარმოებისათვის „მილიციელთა საზეიმო მარში“.

მეორე პრემია — კომპოზიტორ შ. მილორავას სიმღერებისათვის „ძერჟინსკის გახსენება“ და „მილიციელთა მარში“.

მესამე პრემია გაინაწილეს კომპოზიტორებმა შ. დავიდოვმა სიმღერისათვის „მშვიდობის დროშის მცველი“ და კ. როსებაშვილმა „მილიციელთა მარშისათვის“.

წამახალისებელი პრემიებით აღინიშნა კომპოზიტორების ა. ჭელტუხინი, კ. ჩუხრიკაძისა და მ. მერაბიშვილის მუსიკალური ნაწარმოებები.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საბჭოთა მედიცინა“ № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

„საქართველოს გუნება“ № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური საინფორმაციო-საწარმოო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მერვე ნომერი.

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

გუშინ ტაშკენტში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. ადგილობრივმა „ფახთაქორმა“ მოსკოვის „სპარტაკი“ მიიღო. უზბეკმა ფეხბურთელებმა მონდომებით, ორგანიზებულად ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 3:0. ბურთები გაიტანეს იაკუბიკმა, კაბაევმა და ბაიმეტოვმა. ეს „ფახთაქორის“ ზედიზედ მეორე გამარჯვებაა.

კირველი ლიგა

ამ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრე ტურის მატჩები საქართველოს სპორტულმა კოლექტივებმა სტუმრად გამართეს. ქუთაისის ტორპედოელები ხაბაროვსკში დამარცხდნენ ადგილობრივ არმიელებთან — 0:1, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ მოსკოვში მოუგო „ლოკომოტივს“ — 1:0.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის“ პრიზების მოსაპოვებლად ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრების სამივე ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს სომეხმა სპორტსმენებმა. საშუალო ასაკობრივ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა რუსთავის „ფოლადმა“, ხოლო უფროს ასაკობრივში — „პატარა ვერელმა“.

სერგი აცვლედიანი ევროპის ჩემპიონია

პოლანდიის ქალაქ უტრეხტიდან, სადაც დამთავრდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში, სასიხარულო ცნობა მოვიდა: 19 წლის თბილისელმა სტუდენტმა სერგი აცვლედიანმა გაიმარჯვა ხამმაგ ხტომაში. მისი „ოქროს ნახტომი“ 16,78 მეტრია.

ჩემპიონი თბილისში გამოვლინდება

დღეს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ახალ სასპორტო კომპლექსში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების სპარტაკიადის პროგრამით დაიწყება **ხელბურთელთა ფინალური ტურნირი.**

თბილისში უძლიერესის წოდებისათვის ერთმანეთს შეეჯიბრება რვა გუნდი. მათ შორის არიან ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი, სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის მონაწილენი — ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტისა და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. აქ იასპარეზებენ ადრეთვე უფლებამოსილ ინსტიტუტის ოდესის „უნივერსიტეტის“, ჩელიაბინსკისა და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტების სპორტსმენები.

ტურნირის მასპინძელთა სპორტულ ღირსებას დაიცავს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელიც „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებისგან არის დაკომპლექტებული. მის შემადგენლობაში ითამაშებენ საბჭოთა ხელბურთის ერთ-ერთი ფავორი, სპორტის დამსახურებული მოსტატი ა. ანპილოგოვი, აგრეთვე ა. ტაბიძე, ზ. დოლიძე, გ. ნარმანიძე, ვ. ბერიაშვილი, დ. ბარამიძე, ა. კომახიძე და სხვები. გუნდს ამზადებენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ბ. მაკაკარიანი და ა. ლელაშვილი.

პირველ ეტაპზე გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. წრიული სისტემით თითოეულ მათგანში გამოვლინდება ორი საუკეთესო ისინი ქვეჯგუფებში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით შეადგენენ ფინალურ ჯგუფს, რომელშიც გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. ტურნირი 30 აგვისტომდე გასტანს.

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. გრაცში (ავსტრია) მიმდინარე ახალგაზრდული გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2,5:1,5 დაამარცხა უნგრეთის ნაკრები და კვლავ ლიდერობს. ჩვენს გუნდს 20 ქულა აქვს. უნგრელები 17,5 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით მეორე ადგილზე არიან, მესამე ადგილი იბგლისელებს უკავიათ — 17(3).

დღეს დილით ჩემპიონატის მონაწილენი გადადებულ პარტიებს დაამთავრებენ.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ტალმა 15 შესაძლებელში 11 ქულით რიგის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვა. ვიტალი ცეშკოვსკი გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

ფრენბურთი. ბულგარეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის „ვარნის ზაფხულის“ ფინალურ მატჩში საბჭოთა ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 3:2 მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს და პირველი ადგილი მოიპოვა. მესამე ადგილი იაპონელებს ხვდათ წილად.

რიგაში მიმდინარე ვ. საკინის მემორიალის ეაკთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრების პირველი დღის შედეგები კი ასეთია:

მთავარ ფინალში (1-6 ადგილები) სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთის ნაკრები — 3:1, რუმინელებმა მოუგეს ბულგარელებს — 3:0, კუბელებმა — იტალიელებს — 3:0.

მეორე ფინალში (7-11 ადგილები) სსრ კავშირის მეორე (ახალგაზრდულმა) გუნდმა მოუგო ფინეთის ნაკრებს — 3:0, ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს იაპონელები — 3:1.

მთავარ ფინალში ორ-ორი მოგებით ლიდერობენ სსრ კავშირის, კუბისა და რუმინეთის გუნდები. გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

ცურვა. კიევში მიმდინარე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი, რომლის დროსაც დამყარდა ერთი მსოფლიო, ორი ევროპისა და ოთხი საკავშირო რეკორდი, დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით — 203:141.

ტანვარჯიში. რიო-დე-ჟანეიროში დიდი წარმატებით ჩაიარა ცნობილ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ნებლეგმა გამოსვლებმა. თავიანთ ოსტატობა ათასობით ბრაზილიელ უჩვენეს სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იტალიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპორტსმენებმა.

ბრაზილიის პრესა განსაკუთრებით გამოყოფს საბჭოთა სპორტსმენების ალა მისნიკისა და ვლადიმერ მარკელოვის გამოსვლებს.

წყალბურთი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სსრ კავშირის ნაკრებმა იტალიაში გამართულ ევროპის უძლიერესი გუნდების საერთაშორისო ტურნირის ბოლო მატჩში ბერლინიდან 10:6 დაამარცხა ჰოლანდიელები და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილი წილად ხვდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს, მესამე — ჰოლანდიელებს.

კალათბურთი. სსრ კავშირის ნორჩ კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა ესპანეთა უნგრეთის ქალაქ კეჩკემეტში გამართულ ევროპის პირველობაში. ფინალურ მატჩში მან ანგარიშით 74:65 სძლია ვერცხლის პრიზიორებს — ფრანგ სპორტსმენებს. მესამე ადგილზე ბულგარელები არიან.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ნამყენიანი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

რენო კონსტანტინეს ძე კაკაანელი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

„ყაბალა“

ეროვნული ბანკნოტები

25 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 17.00 — „ჩვენი საბჭოთა კინოდარბაზი“ — მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მგზავრი, ლექსი, სიმღერა“, 19.05 — „თვალთათვი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00—„მოამბე“, 20.30 —„გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“—ლეზურას ზეობის ძეგლები“, 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „ტორპედოს“-კიევის „დინამო“. მეორე გეგმი (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — კონცერტი, 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 18.10 — განცხადებები, 18.15 — მხატვრული ფილმი „დასაწყისი“.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96,



კომუნისტ INDEKS 66434

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქალის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეგობართა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

ბოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 29-55; თელავი — 12-09; ფოთი-ნეფარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.

უე — 14574